საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აღდგომისა წამებული

აღდგომისა წამებული, შუა საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, დარბაზული ეკლესია. მდებარეობს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), გარეჯის მთის სერზე, დავითის ლავრა|დავითის ლავრასა და უდაბნოს მონასტერი|უდაბნოს მონასტერს შორის. ეკლესია აგებულია ნატეხი ქვით. კამარა ეყრდნობა ორ საბჯენ თაღს. აფსიდი ჩაწერილია კვადრატში. ოთხივე ფასადზე თითო პატარა სარკმელი აქვს. ინტერიერში შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები.